



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა Georgian Language preparation educational program
განათლების საფეხური	მოსამზადებელი
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	არ ითვალისწინებს
პროგრამის მოცულობა ECTS	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი; არჩევითი კურსები - 5 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	2250 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოს მოქალაქეებისათვის - ზოგად უნარებში ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება მშობლიურ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
პროგრამის მიზანი	<p>2009 წლის ნოემბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა უმცირესობათა პრობლემების გათვალისწინებით. კერძოდ, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები ჩააბარებენ გამოცდას მხოლოდ ზოგად უნარებში, მათთვის ცალკე კვოტები გამოიყოფა უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე ისინი შეისწავლიან სახელმწიფო ენას (ქართულს), როგორც მეორე ენას 60 კრედიტის ფარგლებში.</p> <p>სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ერთწლიანი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს საკმარისად ჰქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები ბხსუ-ში ლექციების ქართულ ენაზე მოსასმენად, გასაგებად და შეძლონ წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობა ქართულ ენაზე.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>შეასწავლოს სტუდენტს გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) წესები ლექსიკური მარაგის, ტერმინების გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესატყვისად აგებული კონსტრუქციების შესადგენად.</p> <p>ხელი შეუწყოს სტუდენტს სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგებასა და შექმნაში, ტექსტის სტრუქტურის გარკვევასა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრებაში.</p> <p>დაეხმაროს სტუდენტს სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირებაში: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლებასა და გამოყენებაში.</p> <p>ჩამოუყალიბოს სტუდენტს გარკვეულ დონეზე ენობრივ-კულტურული ღირებულებები; შეძლოს სტუდენტმა ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაცია და ქართული ენის იმ დონეზე ფლობა, რაც საშუალებას მისცემს მას საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.</p>
სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	იცის კითხვის, წერის, მოსმენის, ლაპარაკის ეფექტური სტრატეგიები; საკომუნიკაციო გრამატიკის, ორთოეპია-ორთოგრაფიის ძირითადი წესები; ტექსტის შექმნისთვის საკმარისი ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქციები და ტექსტის გაგებისთვის აუცილებელ ტერმინთა მნიშვნელობები.

<i>უნარი</i>	შეუძლია წაკითხული ტექსტის მთავარი შინაარსის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება; წაკითხული ტექსტის შესახებ წერილობით აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბება; გრამატიკული წესების დაცვით ნებისმიერ სიტუაციაში კომუნიკაცია და საკუთარი აზრის გასაგებად გადმოცემა.
<i>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</i>	აცნობიერებს სწავლის საჭიროების შეფასებას და შემდგომი სწავლის დაგეგმვის აუცილებლობას; იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი.
<i>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</i>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად. ● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
<i>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</i>	ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. წიგნზე მუშაობის მეთოდი. წერითი მუშაობის მეთოდი. პრაქტიკული მეთოდები. დისკუსია / დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; გონებრივი იერიში (Brain storming); ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. ახსნა-განმარტებითი მეთოდი.
<i>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</i>	პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ნათია მიქელთაძე. მათა ბარამიძე - პროფესორი;

<p>სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი</p>	<p>მანანა სულაბერიძე - პირველი კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი.</p> <ul style="list-style-type: none"> • ბხსუ უზრუნველყოფილია სასწავლო სახელოსნოებითა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. • ბხსუ გაერთიანებულია ELIA-ში (ევროპის ხელოვნების ინსტიტუტების ლიგა); • ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; EBSCO Publishing; Openbiblio • ბხსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 22 ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან და შესაბამისი კვალიფიკაციის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან.
--	--

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	კომპონენტები	კრედიტები 60	საათების რაოდენობა			კრედიტების განაწილება	
				სულ	საკ.	დამ.	I სემ.	II სემ.
G-1		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები: მოსმენა	5	125	50	75	5	
G-2		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები: ლაპარაკი	5	125	50	75	5	
G-3		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები: წერა	5	125	50	75	5	
G-4		ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები: კითხვა	5	125	50	75	5	
G-5		პრაქტიკული გრამატიკა	10	250	100	150	10	
G-6		ენის კომუნიკაციური ასპექტები	10	250	100	150		10
G-7	G-3	ფუნქციური წერა	5	125	50	75		5
G-8		ორთოგრაფია	5	125	50	75		5
G-9		დარგობრივი ლექსიკა (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) (ხელოვნება)	5	125	50	75		5
არჩევითი								5
G-10	G-2	ზეპირმეტყველების სტრატეგიები	5	125	50	75		5
G-11	G-4	ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები	5	125	50	75		5
სულ			60	1500	600	900	30	30